



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 2
28/11/2017

2-06-4-201711281854



განკარგულება №2 2017 წლის 27 ნოემბერი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 43-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ახლადარჩეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევის, პროცედურული საკითხების (ბიულეტენების მომზადების, დარიგების, ხმების დათვლის) და კენჭისყრის პროცესის ჩატარების მიზნით არჩეულ იქნეს დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე: ეროდი გორდელაძე;
2. მდივანი: მიხეილ გოგოტიშვილი;
3. კომისიის წევრები: მაია ზოიძე , ტარიელ აროშიძე, ვალოდია ბერიძე;

მუხლი 2. დროებითი ხმის დამთვლელი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 27 იანვრიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო